ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95231812**

თარიღი:**30/06/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა, 26 მაისის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I - სართულზე არსებული 86.0 კვ.მ. საოფისე ფართის (ს/კ21.03.35.008.01.506) (გადასაცემი შენობის საოფისე ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი